გადაწყვეტილება

N გ-21-7/435
22/07/2021

435-გ-21-1-4-202107221615

საზღვაო ხომალდებისთვის სახმობისა და ამოცნობის ნიშნის მინიჭების შესახებ

საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია (შემდგომში „კომისია“) აღნიშნავს, რომ სსიპ „საზღვაო ტრანსპორტის სააგენტომ“ კომისიას მიმართა განცხადებებით (კომისიაში რეგისტრაციის № შ-21-7/2897, 07.07.21 და № შ-21-7/3050, 16.07.21), წარმოდგენილი სააპლიკაციო ფორმების გათვალისწინებით, საზღვაო ხომალდებისთვის („KRISTIANA-C-01747“,„AKULA-C-01749“, „POTI - C-01757“ და „PARTY DOG - M-00068“) რადიოსადგურების ლიცენზიაში შესატანი სახმობისა და ამოცნობის ნიშნების მინიჭების შესახებ.

„ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“ საქართველოს კანონის 47' მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, კომისიამ კენჭისყრის შედეგად ერთხმად

გადაწყვიტა:

1. მიენიჭოს საზღვაო ხომალდებს: „KRISTIANA - C-01747“, „AKULA - C-01749“, „POTI - C-01757“ და „PARTY DOG - M-00068“-ს ცხრილში აღნიშნული სახმობი და ამოცნობის ნიშნები:

№	ხომალდის დასახელება	ხომალდის მფლობელი	მინიჭებული სახმობი	მინიჭებული MMSI
1.	KRISTIANA - C-01747	დავით მურადოვი	4LVX2	213 543 000
2.	AKULA - C-01749	ტარიელ მამალაძე	4LVY2	213 544 000
3.	POTI - C-01757	შპს ანჩოუსი 2011	4LVZ2	213 245 000
4.	PARTY DOG - M-00068	ალექსი ტიურინი/ OLEKSII TIURIN	4LWA2	213 545 000

2. გადაწყვეტილება ძალაში შევიდეს მიღებისთანავე;

3. დაევალოს კომისიის აპარატის ადმინისტრაციას გადაწყვეტილების სსიპ „საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოსთვის“ გაგზავნა და კომისიის ოფიციალურ ვებ გვერდზე (www.comcom.ge) გამოქვეყნება;

4. გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (ქ.თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №64) გადაწყვეტილების მიღებიდან ერთი თვის ვადაში;

5. კონტროლი აღნიშნული გადაწყვეტილების შესრულებაზე დაევალოს კომისიის აპარატის სამართლებრივი დეპარტამენტის ავტორიზაციის და ლიცენზირების ჯგუფს (მ. ქადეიშვილი).

კახი ბექაური

თავმჯდომარე

ვახტანგ აბაშიძე

წევრი

ეკატერინე იმედაძე

წევრი

ნათია კუკულაძე

წევრი